პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 165 (12981) | პარასკევი, 17 ივლისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება

სრულიად-აფრიკის მეორე კონფერენციისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა კაიროში სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სრულიად-აფრიკის მეორე კონფერენციის თავმჯდომარეს, რომელშიც საბჭოთა ხალხისა და მთავრობის სახელით მხურვალედ მიესალმება აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების ამ ფორუმს.

წერილში აღნიშნულია, რომ ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აფრიკისათვის, ყველა ხალხი უურადღებით ადევნებს თვალს ამ კონფერენციის მსვლელობას, რომელსაც შეუძლია ბევრად შეუწყოს ხელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომ განვითარებას.

ნ. ს. ხრუშჩოვი წერს, რომ საბჭოთა მთავრობა აფრიკის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს მეგობრობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პოლიტიკას. საბჭოთა მთავრობას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია დაეხმაროს ხალხებს, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცების გზით მიდიან, ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური სისტემის სრული განადგურებისათვის.

რედაქციის ფოსტა განსაკუთრებით გაიზარდა ამ დღეებში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო აღფრთოვანებას გამოთქვამენ კოლმეურნეები, მასწავლებლები, ექიმები, ვაჭრობის მუშაკები, მშრომელთა იმ კატეგორიების წარმომადგენლები, რომლებსაც პირდაპირ ეხება სესიის ახალი ღონისძიება.

რედაქციას წერილებს სწერენ აგრეთვე მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები და სხვა პროფესიის ადამიანები.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ წერილების ერთ ნაწილს.

სიუხვის გზა — მხოლოდ შრომა

ხალხის სამსახურში

პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. არ არის სოფელი ან დასახლებული პუნქტი, სადაც ახლა საექიმო უბანი, ამბულატორია, საავადმყოფო ან სამშობიარო სახლი არ იყოს გახსნილი. კეთილი და საპატიოა სოფლის ექიმის მოვალეობა. აი უკვე 22 წელია, რაც წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში ამბულატორიის გამგედ ვმუშაობ. ვინ მოთვლის რამდენ ავადმყოფს გამოუვლია ჩემს ხელში. ყოველწლიურად ასობით მშრომელი მოდის ჩემთან დახმარებისათვის. უკვე მივაღწიე იმას, რომ სოფელში არც მოზრდილთა და არც ბავშვთა შორის სრულიად არ არის ინფექციური დაავადება.

თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა სოფლის ექიმთა კეთილშობილურ შრომას. ჩვენთვის, მედიცინის მუშაკებისათვის, ხელფასის მომატებამ ერთხელ კიდევ ცხადყო მშრომელთა ჯანმრთელობისადმი ზრუნვა. ეს ახალ სტიმულს გვაძლევს ხალხის უანგარო სამსახურისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალი ღონისძიება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ჩვენი პარტიის ზრუნვის ნათელი გამოვლინებაა.

გ. როგავაძე,
წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის ამბულატორიის გამგე, ექიმი.

რადიომ, გაზეთებმა ჩვენთანაც, კავკასიონის მთების გულში — მთათუშეთის სოფლებშიც მოიტანა სასიხარულო ამბავი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დიდმნიშვნელოვან გადწყვეტილებათა შესახებ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა ადამიანებზე შშობლიური კომუნისტური პარტიის უდიდესი ზრუნვის დადასტურებაა.

უფრო უკეთ ვიმუშავებთ

სკოლა-ინტერნატში თხუთმეტამდე მასწავლებელი და აღმზრდელი მუშაობს. სამედიცინო პერსონალიც ბევრი გვყავს.. პარტიის ზრუნვამ ყველა აღაფრთოვანა. ისინი შტკიცე სიტყვას იძლევიან, რომ შრომას გააორკეცებენ.

სასოფლო საბჭოს მუშაკებმა გადავწყვიტეთ სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის ჩაბარების მიმდინარე წლის დავალებანი ვადაზე სამი თვით ადრე შევასრულოთ

ი. ბეგეჯპარი,
ახმეტის რაიონის მთა-თუშეთის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ჩვენი სიხარული

მოსახლეობის უხვად მომარაგება სამრეწველო, სასურსათო და სამეურნეო საქონლით ჰუდამ იყო, არის და იქნება შშობლიური კომუნისტური პარტიის საზრუნავი. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის ბრძნული მოხსენება.

ვაჭრობის მუშაკები ხელფასის მომატებას ახალი სიბეჯითით ვუპასუხებთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოსახლეობას დროულად მივაწოდოთ მისთვის საჭირო საქონელი. დამახინჯებებს ვაკრობაში ძირფესვიანად აღმოვფხვრით.

ი. სეფაშვილი,
ყვარლის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ტკბილი სიგრძე

დიდი სიხარულით მოვისმინე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. სიტყვით ვერ გამოვთქვამ მადლობის იმ დიდ გრძნობას, რასაც მე, უბრალო კოლმეურნე ქალი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართ განვიცდი.

არასოდეს საერთო-საძმო საქმისათვის არ მიღალატია, რადგან ვიცი, რომ ჩვენი შრომა ხალხის საერთო კეთილდღეობის საფუძველია. მიუხედავად ხანდაზმულობისა, შარშან 1.8 ჰექტარი სიმინდის ნათესი დავამუშავე და 9 ტონა მარცვალი შევმატე კოლმეურნეობის ბეღელს. ასე რომ პენსია, რომელიც დაგვენიშნება, თავდადებული შრომით დავიმსახურეთ.

პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვას ჩვენ ნაყოფიერი შრომით ვუპასუხებთ.

მადლობა პარტიას და მთავრობას ტკბილი სიბერისათვის.

ს. ჩხუტიაშვილი,
დუშეთის საწარმოო სამმართველოს ბაზალეთის კოლმეურნეობის წევრი.

200.000 ტონა ჩაისათვის

წლიური გეგმები შეასრულეს

ორასი ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობაში მრავალმა მეზაიემ გაითქვა სახელი.

მათ დროს გაუსწრეს და ორთვენახევარში შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმები. დიდ წარმატებას მიაღწია მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის კოლმეურნეობის მეჩაიემ ლამარა ბაჯელიძემ. მან უკვე მოკრიფა 3.650 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.600 კილოგრამისა. იბრძვის 6.000 კილოგრამი ჩაისათვის.

ოფელ ნატანების კოლმეურნეობაში მრავალი მოწინავე მეჩაიეა. მათ შორის არის **ლ. პერტია**, რომელმაც ამას წინათ გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. მას მოკრეფილი აქვს 3.800 კილოგრამზე მეტი ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა.

ყველა კარგად იცნობს ჩოხატაურის რაიონში ბუკნარელ მეჩაიეს **ნ. ჩაკლეიშვილს**. მან ფლიური გეგმის ჯადამეტებით უკვე მოკრიფა 200 კილოგრამი. გეგმები შეასრულეს აგრეთვე **ც. კოტრიკაძემ, ც. ფლიანარაძემ, ზ. გაგუამ** და სხვებმა.

უპატაკეგენ სამშობლოს

□ **ლანჩხუთის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **საბაშვილი**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ებრალიძე**, სამმართველოს უფროსი ამხ. **ცინცაბაძე** რედაქციას ატყობინებენ, რომ რაიონის მეაბრეშუმეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის გაზაფხულის გამოკვების პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. დამზადებულია 2.501 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.490 ცენტნერისა. ლანჩხუთელი მეაბრეშუმეები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვას.

□ **ცხაკაიას** რაიონის მეაბრეშუმეებმა კარგად მოუარეს გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის ჭიას და წარმატებებიც მოიპოვეს, — გვატყობინებს რაიაბრეშუმის კანტორის გამგე ამხ. **ნინუა**. აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით. სახელმწიფოს მიჰყიდეს 135.125 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 135.000 კილოგრამისა. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

□ **ზუგდიდის** რაიაბრეშუმის კანტორის გამგე ამხ. **გაბედავა** რედაქციას ატყობინებს, რომ სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის დაკალება გადაჭარბებით არის შესრულებული. სულ დამზადებულია 242 ტონა გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკი. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

□ **ჩოხატაურის** რაიონის მეაბრეშუმეებმა 12 ივლისისათვის შეასრულეს პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 1.050.2 ცენტნერი პარკი. გეგმით გათვალისწინებული 1.050 ცენტნერისა. (საკდესი).

მადლობა პარტიას

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ „ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების ღონისძიებათა შესახებ" მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი სიხარული გამოიწვია.

შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლა ბევრ რამეს გვაკეთებს განათლების მუშაკებს. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ამაღლდა მასწავლებლის, როგორც ახალი ადამიანის აღმზრდელის, როლი. ჩვენი ვალია ახალი ენერგიით მოვკიდოთ საქმეს ხელი, მთელი ჩვენი ნიჭი, უნარი და გამოცდილება მოვახმაროთ კომუნიზმის აქტიური მშენებლების, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების აღზრდას.

გაივლის წლები, მაგრამ მადლიერი სახალხო მასწავლებელი არასოდეს არ დავიწყებს ამ მამამბრივ ზრუნვას, მისი შრომის ასე მაღალ შეფასებას.

ვ. ჩოგოვაძე,
ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ყიჩაშვილი კოლმეურნეებს აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მააალებს.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საკდესის ფოტოკორონეა).

დიდი ზრუნვა

უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი გამოქვეყნდა პრესაში. გაზეთები ხელიდან ხელში გადადის. უაზღვრო სიხარულით ეცნობიან კოლმეურნეები ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეოთხე სესიაზე. ეს დოკუმენტი პარტიის პროგრამის განხორციელების მტკიცე დადასტურებაა. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ნათელყოფს ჩვენი ქვეყნის ძლიერებას.

როგორც ამხანაგი ხრუშჩოვი ამბობს, კანონის პროექტი თვალისწინებს პენსიით უზრუნველყოფა კოლმეურნეი მოხუცებულობის, ინვალიდობის გამო, ბავშვები, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს, აგრეთვე დახმარება მივცეთ კოლმეურნე ქალებს ორსულობისა და მშობიარობის დროს. ჩვენს კოლმეურნეობაში სამი წელია პენსიებს ვუნიშნავთ კოლმეურნეებს. პენსია ეძლევა 235 კაცს. ქალებს პენსია ეძლევათ 55 წლის შესრულების შემდეგ, კაცებს — 60 წლის შემდეგ. ჯერჯერობით პენსია თვეში განსაზღვრულია 5 მანეთიდან 12 მანეთამდე. აგრეთვე დახმარებას ვუწევთ კოლმეურნეებს საგზურებით.

პარტიისა და მთავრობის ამ ახალი ღონისძიების შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, რაც ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო დოვლათის სიუხვის შექმნას. წელს საშობლოს ნეგმის გადამეტებით მოგცემთ ათობით ტონა ჩაის ნედლეულს.

ს. მუხაშავრია,
მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი.

ბოლოს

მორის ტორეზის ხსოვნისათვის

მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი

მოსკოვი, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი, მიძღვნილი მორის ტორეზის ხსოვნისადმი. პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ბ. ნ. პონომარიოვი, სრულად სკკ-ის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სხვა პარტიული, სახელმწიფო მოღვაწეები.

მიტინგი გახსნა სკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ი. პავლოვმა.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მორის ტორეზის ხსოვნას.

სამგლოვიარო სიტყვები წარმოთქვეს ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის ზეინკალმა ს. ა. ანტონოვმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა პ. ნ. პოსპელოვმა, მოსკოვის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა მ. დ. სტეპანოვამ, სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, გაზეთ „იზვესტიის" მთავარმა რედაქტორმა ა. ი. აჯუბეიმ, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა, ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟან ბლუმმა, არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა როდოლფო გიოლდმ.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. მიტინგის მონაწილეები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

მოსკოვიდან გაემგზავრა დოქტორი სუბანდრიო

16 ივლისს მოსკოვიდან გაემგზავრნენ ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი სუბანდრიო და მისი თანმხლები პირები. საპატიო სტუმარი სსრ კავშირში იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

შერემეტიევოს აეროდრომზე, რომელიც ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, დოქტორ სუბანდრიოსა და მისი თანამგზავრების გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირები.

დოქტორ სუბანდრიოსთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრნენ ინდონეზიის სახელმწიფო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ასმედ იანი, მეთევზეობის მინისტრი კომოდორი ჰამზა ატმო და სხვები. (საკდესი).

საკონსტიტუციო კომისიის სხდომა

16 ივლისს კრემლში გაიმართა საკონსტიტუციო კომისიის მორიგი სხდომა. საკონსტიტუციო კომისია სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ აირჩია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებლად.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სხდომას გააცნო საკონსტიტუციო კომისიის უკანასკნელი დროის მუშაობა. საკონსტიტუციო კომისიის ყველა ქვეკომისიამ მოამზადა მასალები კონსტიტუციის ცალკეული ნაწილების შესახებ. ამას გარდა, საკონსტიტუციო კომისია იღებს მშრომელთა ბევრ წერილს, რომლებიც შეიცავენ წინადადებებს მომავალი ძირითადი კანონის ხასიათისა და შინაარსის შესახებ. ყველა წერილს გულდასმით სწავლობს კომისია და უგზავნის შესაბამის ქვეკომისიებს.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა წინასწარი შენიშვნები იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ახალ კონსტიტუციაში სრულად უნდა აისახოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა კომუნისტური საზოგადოების შესახებ, ხალხის მასების, კომუნისტური პარტიებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლის შესახებ კომუნიზმის მშენებლობაში.

ახალი კონსტიტუციის ხასიათი განისაზღვრება საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპით. ახალი კონსტიტუცია მიღებულ იქნება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების პირობებში და იგი უნდა იქნეს კონსტიტუცია საყოველთაო სახალხო სოციალისტური სახელმწიფოსი, რომლის მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ კონსტიტუციის პროექტის შედგენისას სავსებით უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფო მშენებლობის დიადი გამოცდილება, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, გამოვიყენოთ ვ. ი. ლენინის უდიდესი იდეური მემკვიდრეობა, მისი მითითებანი კონსტიტუციური მშენებლობის საკითხებზე.

შემდეგ საკონსტიტუციო კომისიამ მოისმინა მოხსენებანი ქვეკომისიებისა:

— საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საკითხებზე (მომხსენებელი ამხ. გ. ი. ვორონოვი);

— საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო მართვის, მათი საქმიანობის საკითხებზე (მომხსენებელი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი);

— ეკონომიურ საკითხებსა და სახალხო მეურნეობის მართვის საკითხებზე (მომხსენებელი ამხ. ა. ნ. კოსიგინი);

— ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული სახელმწიფო მშენებლობის საკითხებზე (მომხსენებელი ამხ. ა. ი. მიკოიანი);

— მეცნიერებისა და კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე (მომხსენებელი ამხ. ვ. პ. ელიუტინი);

— სახალხო კონტროლისა და სოციალისტური მართლწესრიგის საკითხებზე (მომხსენებელი ამხ. ნ. მ. შვერნიკი);

— საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე (მომხსენებელი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი).

საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

მუშაობა განაგრძონ საკონსტიტუციო კომისიის ქვეკომისიებმა, დაევალოს ქვეკომისიათა და სარედაქციო ქვეკომისიის თავმჯდომარეებს ამ სხდომისა და ქვეკომისიათა მიერ შეტანილი წინადადებების განზოგადების გათვალისწინებით თავიანთი მოსაზრებანი ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ წარმოადგინონ საკონსტიტუციო კომისიის განსახილველად.

შვიდწლედი — ექვს წელიწადში

ბათუმი. (საკ. კორ.). ჯერ კიდევ 27 ივნისს უპატაკა სამშობლოს ნახევარი წლის გეგმის შესრულება ქარხანა „ელექტროკარის" კოლექტივმა. უკვე დაამზადეს და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნეს 1.294 ელექტროკარი. სად არ ნახავთ ახლა ამ გონიერ მანქანებს: მოსკოვის, ლენინგრადის ოლქების ქალაქებსა და სამრეწველო ობიექტებზე, როსტოვისა და კრასნოდარის მხარეებში.

ამ დღეებში ბათუმური ელექტროკარი გაიგზავნა მოსკოვში, კრემლის სპეცრეზერვის პალატის საჭიროებისათვის.

ბორჯომი. (საკ. კორ.). შუშის ქარხნის კოლექტივმა წარმატებით იმუშავა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. ექვსი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2.750.000 ბოთლი, ამასთან დინარე წლის ექვსი თვის გეგმა 110,2 პროცენტით შესრულა და გეგმის გადამეტებით 58 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ქარხნის კოლექტივი გამართულად შეუდგა წლის მეორე ნახევრის დავალების შესრულებას. გადამეტებით განაღდდა ივლისის პირველი 10 დღის საწარმოო დავალება.

თელავი. (საკ. კორ.). შვიდწლედის მეექვსე წლის პირველი ნახევარი თელავის ამბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა, 3.457 ათასი მანეთის ნაცვლად 3.523 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. გეგმით პირველი ხარისხის ძაფი 65 პროცენტი უნდა გამოუშვათ ფაქტიურად 69 პროცენტს გადაამეტეს.

ექვს თვეში ფაბრიკის კოლექტივმა 9.200 კილოგრამი ნედლეული დაზოგა, რითაც ფაბრიკას ცხრა დღე შეუძლია იმუშაოს.

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის ხის დამამუშავებელმა კომბინატმა მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა 110,2 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 58 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

სახერხი, საავეჯო დეტალების თუ საკასრე საამქროებმა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წელს გაცილებით მეტი პროდუქცია გამოუშვეს. ამ საქმეში ყველას გაუსწრეს ი. ვარდოშვილმა, ბ. კოტოლაშვილმა, ა. ნადიბაიძემ, შ. გგაურმა, მ. მამუჩარაშვილმა და მ. შაშიაშვილმა.



ფოთი. ზუმფარა ქიმიურ პროდუქციათა შორის შედარებით ახალი სახეობაა. მას დიდი გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობის მეტ წილ დარგებში, განსაკუთრებით ლეიონისა და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში.

ახლახან ფოთის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყების ხაზით ამუშავდა ზუმფარის საწარმო, რომელიც აღჭურვილია ახალი ტექნიკით. აქ ყველა ტექნოლოგიური პროცესი მექანიზებულია.

საწარმოს მთელი დატვირთვით მუშაობისას შეუძლია წლიურად გამოუშვას მილიონობით მანეთის პროდუქცია. წელს კი გამოშვებულ იქნება ასეულ ათასი მანეთის ზუმფარის პროდუქცია. პროდუქციის პირველი პარტია მალე გაეგზავნებათ რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებს. ხოლო შემდგომში მას მომძე რესპუბლიკებშიც იხილავენ.

კ. კომაახიძე.



საჩუქრად სესიას

ლენინგრადი, 14 ივლისი. (საკდესის კორ.). 44 ტონა ზეგეგმითი ფოლადი ასეთია ნივის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათაშენებელ ქარხანაში უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავი შრომითი ვახტის პირველი დღეღამის შედეგი. როცა ნ. ს. ხრუშჩოვი მოხსენებას აკეთებდა კრემლის დიდ სასახლეში, მეფოლადე ი. მარკოვინის ბრიგადამ, რომელიც 40-ტონიან ელექტროღუმელს ემსახურება, გადაწყვიტა, რომ სესიის მუშაობის მთელ პერიოდში გამოუშვას მხოლოდ ჩქაროსნული ნადნობი. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მეფოლადეების ა. კუზმინისა და ვ. პავლოვის ბრიგადის წევრებმა. დღეს შეჯამებულია პირველი შედეგი. დღეღამეში ღუმელმა ოთხნახევარი ნადნობი გამოუშვა — დავალებაზე ერთი ნადნობით მეტი.

მზურვალე მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს კრივი როგის ჩრდილოეთ სამშენებლო ტრესტის, უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სპეციალიზირებული ორგანიზაციებისა და დნეპროპეტროვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს კრივი როგის ჩრდილოეთ სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მუშაკებს დიდი შრომითი გამარჯვება — კრივი როგის ჩრდილოეთ სამთო გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრება.

მისალმებაში ნათქვამია, რომ ამ კომბინატის ამუშავება დიდმნიშვნელოვანი წელილია მავი მეტალურგიის ვადნეულის ბაზის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის საჭირბოროტებისათვის ლითონის წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში.

ახალი სამთოგამამდიდრებელი კომბინატი სათვალაური მეოთხეა, რომელიც კრივი როგის აუზში აშენდა შვიდწლედის წლებში. (საკდესი).

წყალქვეშა კორიდორი მაზერიკისაკენ

ბაკო. (საკდესის კორ.). პირველი ასობით ტონა ნავთობი მოიტანა ახალმა წყალქვეშა ნავთობსადენმა მატერიკზე ბაკოს არქიპელაგის წიაღიდან. სეპარატიული დანადგარი, რომელიც ალიატის კონცხთან არის დამონტაჟებული, გამოჰყოფს ნავთობს გაზისაგან და აქედანვე ორივე თავისი გზით მიდის. ნავთობ-ბაკოს ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში, გაზი კი დაიწყებს თავის შორეულ მოგზაურობას მეგობრობის მაგისტრალით თბილისისა და ერევნისაკენ.

ზღვის ღელვა ართულებს საზღვაო მესანგრეთა და მენავთობეთა ისედაც ძნიმე შრომას, რომლებიც სანგაჩალის აკვატორას — ბულას კუნძულს ემსახურებიან.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

კაპიტალური მშენებლობა საკითხთა საკითხია

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, ყველა მშენებელს, შემონტაჟეს და მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკს წერილით მიმართეს 1964-1965 წლების კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ამოცანების შესახებ.

ამ წერილთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. პრეზიდიუმმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს დამატებითი რეზერვების გამოვლინებისა და მაქსიმალური გამოყენების შესახებ კაპიტალური მშენებლობის გეგმის. და ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამუშავების დავალებათა წარმატებით რეალიზაციისათვის.

როგორც პრეზიდიუმზე აღინიშნა, პროფკავშირების საბჭოებმა და კომიტეტებმა უფრო ფართოდ უნდა გააჩაღონ სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. თ. ა. სანიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცე წელთან დაკავშირებით ამხ. თამარ ათანასეს ასული **სანიკიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი,
1964 წლის 11 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

დეპუტატ გ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

ფოთის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ

ამხანაგო დეპუტატებო! უდიდესი ყურადღებით მოვისმინეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შინაარსიანი მოხსენება კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფისა და სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაკთათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობას. ამ საკითხების დასმა საკანონმდებლო დროულია და ღრმა კმაყოფილების გრძნობას იწვევს ყველა საბჭოთა ადამიანში. სასიამოვნო და სასიხარულოა ვგრძნობდეთ, რომ ჩვენი სინამდვილის ყოველი დღე აღსავსეა მდიდარი შინაარსით, რომ იგი ძლევამოსილ სოციალისტურ სახელმწიფოს, მთელ საბჭოთა ხალხს უახლოვებს სანუკვარ მიზანს — კომუნიზმის აშენებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განავითარა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, შექმნა მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული ეკონომიკა, უდიდესი წარმატებები მოიპოვა კომუნისტურ მშენებლობაში. ეს საშუალებას აძლევს სახელმწიფოს კიდევ უფრო ფართოდ იზრუნოს ხალხის კეთილდღეობისათვის, გახდეს ყველანაირ აუმჯობესოს მისი კეთილდღეობა, უფრო სრულად დაკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების საარსებო მოთხოვნილებანი.

აი დღესაც ჩვენ განვიხილავთ საკითხს, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს კომუნიზმის აშენების პროგრამიდან. ჩვენი დროის ამ ისტორიულ დოკუმენტში ნათქვამია: „სახელმწიფო ორგანოები, პროფკავშირები, კოლმეურნეობები ეროვნული შემოსავლის ზრდის კვლევაზე ოცწლეულის განმავლობაში თანდათანობით იკისრებენ ყველა იმ მოქალაქის მატერიალურ უზრუნველყოფას, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს ასაკის გამო ან ინვალიდობის შედეგად. დახმარება ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის გამო, პენსიები მოხუცებულობის გამო გავრცელდება კოლმეურნეებზე...“

როგორ არ უნდა მივესალმოთ და მხუთრველად არ მოვიწონოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო განიხილავს სოციალისტური უზრუნველყოფის საკითხს — საკითხს, რომელიც მოწმობს, რომ პარტია და მთავრობა კვლავ უსაზღვრო მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის.

შრომა ჩვენს ქვეყანაში დიდად ფასდება. პატივით ეპყრობიან ჩვენში იმათ, ვინც პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობს სამშობლოს საკეთილდღეოდ. მაგრამ არა მარტო პატივისცემით და ჯილდოებით აღნიშნავენ მათს შრომას. როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე თქვა, უდიდესი მონაბოვარია აგრეთვე სამართლიანი გადაწყვეტა საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებული მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფასთან.

ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა უფლება მატერიალური უზრუნველყოფისა მოხუცებულობაში, შრომის უნარის დაკარგვისა და ავადმყოფობის შემთხვევაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარია და ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს ჩვენში აქვს უფასო სწავლისა და სამედიცინო მომსახურების თანაბარი უფლება. როგორც ქალაქის პირობებში, ისე სოფლადაც განუწყვეტლივ უმჯობესდება მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

მაგრამ კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფაში ჯერ კიდევ არ იყო მწყობრი სისტემა. მნიშვნელობა კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების შესახებ კანონის პროექტისა, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შემოიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, ის არის, რომ პროექტი უზრუნველყოფს საპენსიო სისტემის მოწესრიგებას და მყარ ხასიათს აძლევს მას. პენსიები კოლმეურნეებს დაენიშნებათ როგორც განსაზღვრული ასაკის მიღწევის შემდეგ, ისე შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

საპენსიო უზრუნველყოფა უდიდესი სტიმულია კოლმეურნეებისათვის. ახლა მათ მტკიცად ეცოდინებათ, რომ განსაზღვრული ასაკის მიღწევის შემდეგ მიიღებენ მატერიალურ უზრუნველყოფას ორგანიზებული წესით. ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის. ცხადია, რომ რაც უფრო მდიდარია კოლმეურნეობა, მით უფრო ძლიერია მისი ეკონომიკა, მით უფრო მაღალია შრომის ანაზღაურება ამ მეურნეობაში, მით უფრო მეტია პენსიები მოხუცებულობისა და შრომისუუნარობის შემთხვევაში. რაკი ეს იციან, კოლმეურნეები, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ნაყოფიერად, უფრო ხალისიანად იშრომებენ.

ამ შესანიშნავი ღონისძიების განხორციელება ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, რადგან ახლა, როცა სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ მოხუცებულობაში, კოლმეურნეები, ეჰეი არ არის, ეცდებიან ძალღონისა და ჯანმრთელობის კვლევაზე თავიანთი შრომის მეტი წ�ეტანონ საზოგადოებრივ წარმოებაში.

საქართველოს რესპუბლიკის ცალკეულ კოლმეურნეობებში, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურებაა, სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრთა საერთო კრებების გადაწყვეტილებით, ზოგიერთ კოლმეურნეს, რომელსაც მრავალ წელს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და უმეშაველია კეთილსინდისიერად და დაუკარგავს შრომის უნარი ან მოხუცებულია, ეძლევა პენსია ფულით ან სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. მაგალითად, სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არსებულ ალექსანძე კობაიძე ამ სესიას ესწრება, პენსია ეძლევა 100-ზე მეტ კოლმეურნეს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სასოფლო-სამეურნეო არტელის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის გზაზე.

მაგრამ თუ ცალკეულ მოწინავე კოლმეურნეობებში ამან შექმნა გარკვეული სტიმული, სულ სხვა მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა მეურნეობებში, განსაკუთრებით სუსტ არტელებში.

კოლმეურნეების პენსიებით უზრუნველყოფის მოწესრიგება, დასმული საკითხის სახელმწიფო მასშტაბით გადაპრა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაშანსვეტია, რომელსაც პარტია ახორციელებს მთელი ხალხის მხარვაღე მხარდაჭერით, მოწონებითა და აქტიური მონაწილეობით. ეს იმის კიდევ ერთი თვალნათლი დადასტურებაა, რომ ხალხი და პარტია, პარტია და ხალხი ერთიანია.

სავსებით სწორად მიგვაჩნია წინადადება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეებისათვის საპენსიო ფონდის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით კოლმეურნეობებმა. სოციალისტური უზრუნველყოფის ასეთი საკავშირო ცენტრალიზებული ფონდი საშუალებას მოგვცემს შემოვიღოთ კოლმეურნეთა პენსიებისათვის სახსრების გადარიცხვის მტკიცედ განსაზღვრული წესი.

მშრომელთა პენსიებისა და დახმარების შესახებ კანონის პროექტში სავსებით სწორად აღნიშნულია, რომ კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფაში არ შეძლება იყოს გათანაბრება. რა თქმა უნდა, უკეთ უნდა უზრუნველყოთ არტელის წევრები, რომლებიც კარგად მუშაობენ და მეტი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ წარმოებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელნი, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი სიხარულით და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ცნობას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გაიხილავს კოლმეურნეთა პენსიებით უზრუნველყოფის საკითხს. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ეს მკაფიო დადასტურება კიდევ უფრო გაალიერებს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეთა შრომითს აქტივობას. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და მისცენ წელს ჩვენს ქვეყანას 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შეასრულონ მარცვლის, ყურძნის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების დამზადების დაკალება.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რეაბილიტაციაში განხორციელდა სოფლის მეურნეობის აღმავლობის დიდი ღონისძიებანი. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, 1963 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1953 წელთან შედარებით 21 პროცენტით გადიდდა, ხოლო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება — 73 პროცენტით. 1963 წელს სახელმწიფოს მიეყიდა მარცვალი და ხორცი 1,7-ჯერ მეტი, რძე — 2,4-ჯერ და ყველი 5,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მატყლის, ბამბის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსოვანთა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე მრეწველობაში. საერთო პროდუქციის მოცულობა 1963 წელს 1953 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გადიდდა. ამავე დროს დიდი ძვრები მოხდა სტრუქტურაში მრეწველობის ისეთი პროგრესული დარგების მკვეთრად გადიდების გზით, როგორიც არის ქიმიური, მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო დარგები. განუწყვეტლივ იზრდება შრომის ნაყოფიერება. ვვიდწელდის განვლილ 5 წელიწადში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გადიდდა 21 პროცენტით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა თითქმის 6 პროცენტით. ამაღლდა მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. 1959-1963 წლების განმავლობაში რესპუბლიკის ქალაქებსა და მუშათა დაბებში აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა 5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობი. ამავე პერიოდში კოლმეურნეობებში აშენდა 51 ათასი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ამხანაგო დეპუტატებო! პროექტი კანონისა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტსა-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომელიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას, პროექტი, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ შეიმუშავეს და წარმოადგინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, მოსახვევებს ახალ დიდ ხალხურ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისა და იმ ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაჭრის გზაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით დასახულია ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ცხოვრობს და შრომობს საბჭოთა ადამიანი. საქართველო, როგორც ცნობილია, სამხრეთის რესპუბლიკაა, მაგრამ მისი რელიეფი დიდი მრავალფეროვნებით გამორჩეულია. საქართველოს მიწის მეტ ნაწილს შეადგენს მთები: ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის 34 პროცენტი მდებარეობს ათასიდან ორი ათას მეტრამდე სიმაღლეზე და 19,8 პროცენტი — ორი ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მართალია, რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა ბარის რაიონებში ცხოვრობს, მაგრამ ცხოვრება მეხუთედი ნაწილი თავმოყრილია მთიან ადგილებში, სადაც ცხოვრებისა და შრომის პირობები გაცილებით უფრო მძიმე და მკაცრია, ვიდრე ვაკე ადგილებში, რომლებსაც ბევრი მთის რაიონი მოწყვეტილია ზამთრის თვეებში. ეს გარემოება გათვალისწინებულია კანონპროექტში. გათვალისწინებულია დაწესდეს იმ მუშაკთა ხელფასის გარკვეული კოეფიციენტი, რომელიც მუშაობენ ისეთ ადგილებში, სადაც მძიმე ბუნებრივ-კლიმატური პირობებია.

კანონპროექტში გათვალისწინებულია თვიური ხელფასის მინიმუმის გადიდება სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებში. ეს საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — ყველგან დავამთავროთ ყოველთვიური ხელფასის მინიმუმის გადიდება 40-45 მანეთამდე.

იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღება, რომლებიც უშუალოდ უწევენ მომსახურებას მოსახლეობას, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისაგან, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტოებისა და უწყებებისაგან, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისაგან, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს განსაორციელოს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა, საქეიფურ-ყენი ობიექტების გაერთიანებისა და გამსხვილების, პარალელიზმის ლიკვიდაციის, მმართველობის სტრუქტურის გამარტივების, შინაგანი რეზერვების გამონახვისა და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

ამხანაგო დეპუტატებო! ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტების განხილვა, როგორიც არის ის დოკუმენტები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილვის საგანს შეადგენენ, კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი დადასტურებაა იმ უდიდესი წარმატებებისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მოიპოვეს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი კანონთა პროექტები ერთხელ კიდევ მთელი ძალით ცხადყოფენ კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მამაცრი ზრუნვას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. საქართველოს მშრომელნი მხურვალე მადლობას უძღვნიან პარტიას, მთავრობასა და პირადად ამხანაგ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს იმ მამაბრიკი ზრუნვისათვის.

გამოვხატავ, რა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვან აზრს, ჩვენი საბჭოთა ხალხისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი სიამაყის გრძნობით შემოვაქვს წინადადება დამტკიცდეს კანონპროექტები კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების შესახებ და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ. **(ტაში).**

დეპუტატ თ. ი. ღლონტის სიტყვა

ქედის საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ

ამხანაგო დეპუტატებო! მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა თქვა, რომ ჩვენ ექნებით მსოფლიოში ყველაზე მძლავრ ეკონომიკას, რათა მივაღწიოთ ჩვენს მთავარ მიზანს—ავაშენოთ კომუნიზმი, შევქმნათ ყველა პირობა ხალხის უკეთესი ცხოვრებისათვის, მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის განვითარებისათვის, თვითეული ადამიანის ნიჭისა და უნარის გაფურჩქნისათვის. და ეს მართლაც ასეა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელ თავიანთ ფიქრებს, მთელ თავიანთ შეცადინებას ახმარენ იმას, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილონ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი, რომ უკეთ იცხოვროს თვითეულმა ადამიანმა. ამის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი წინადადებანი თვალისწინებენ იმ ამოცანათა განხორციელებას, რომლებიც სკკპ პროგრამით დასახულია სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში. დასასრული ღონისძიებანი ეშმარიტად გრანდიოზულია. მაგალითად, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას, კანონის პროექტის შესაბამისად შრომის ანაზღაურების ახალი პირობები ვრცელდება 18 მილიონზე მეტ კაცზე.

მე ექიმი ვარ და ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა ყოფაცხოვრების საკითხებს, მათი შრომის პირობებს, ბუნებრივია, კარგად ვიცნობ. ამასთან დაკავშირებით თავს ნებას მივცემ უფრო დაწვრილებით შევეხო სამედიცინო მომსახურების ზოგიერთ საკითხს და მედიკოსთა მუშაკთა ყოფაცხოვრების პირობებს ჩვენს რესპუბლიკაში.

ამჟამად საქართველოს სს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას მედიცინის მუშაკთა მთელი არმია. რესპუბლიკაში მუშაობს 14 ათასზე მეტი ექიმი და 33 ათას კაცზე მეტი საშუალო სამედიცინო პერსონალი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის 308 კაცზე ერთი ექიმი მოდის. უკანასკნელი წლების მანძილზე ექიმთა რაოდენობა რესპუბლიკაში თითქმის ათასით გაიზარდა. მედიცინის მუშაკთა რიგებში არის 1.414 მეცნიერი თანამშრომელი, რომლებიც მუშაობენ ორ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში, 24 სამედიცინო-საკვლევ ინსტიტუტსა და სამედიცინო პროფილის 5 სამეცნიერო ლაბორატორიაში.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხი. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მწყობრში ჩადგა 40-მდე ახალი საავადმყოფო, სხვადასხვა საწარმოში გაიხსნა 100-ზე მეტი ახალი საექიმო და საფერშლო ჯანმრთელობის პუნქტი. სოფლის მოსახლეობისათვის დამატებით მოწყობილია დაახლოებით 250 საფერშლო პუნქტი და საფერშლო-სამეანო პუნქტი.

1959-1963 წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაიხსნა 14 ახალი პოლიკლინიკა, 62 რევმატოლოგიური, 60 ინფექციური, 64 ონკოლოგიური და სხვა კაბინეტი. გარდა ამისა, შეიქმნა პროფესიული პათოლოგიის კაბინეტები, ბავშვთა გადაუდებელი სადღეღამისო დახმარების სამსახური. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურთან მუშაობს სპეციალიზებული კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და პედიატრიული ბრიგადები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა დისპანსერთა ქსელი, რესპუბლიკაში პირველად გაიხსნა ეროლოგიური დისპანსერი.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონს, პირველ რიგში მაღალი მთის რაიონებს, აკლიათ ექიმთა კადრები. ეს რამდენადმე ითი ახსნება, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ამ რაიონთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ჯეროვან ზრუნვას არ იჩენენ მედიცინის მუშაკთა ცხოვრებისა და შრომის საკირო პირობების შექმნისათვის. მაგალითად, დუშეთში, ბოლნისში, ყაზბეგში, ახალქალაქში, ამბროლაურში და ზოგიერთ სხვა რაიონში ექიმებს ცუდად უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ბინებით.

საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მეჩიოეთა შრომა. მათი მუშაობის სპეციფიკის შესწავლა, მათი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა კომპლექსის შექმნა. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა ძალზე შრომატევადი ოპერაციაა. ექიმებისა და სამეცნიერო-საკვლევი სამედიცინო ინსტიტუტების პირდაპირი მოვალეობაა იზრუნონ მეჩიოეთა შრომის დაცვისათვის, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დრომდე მუშაობა ამ მიმართულებით მეტად ნელა მიმდინარეობდა და უმთავრესად მეჩიოეთა ერთი ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებით ამოიწურებოდა. სანამ ექიმები სხვადასხვა ანკეტასა და რუკას ავსებდნენ, კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა, რომელმაც მუშაობა დაიწყო ჩაის პლანტაციებში და შრომა შეუმსუბუქა მეჩიოეებს. მაგრამ მანქანასა, რა კარგიც უნდა იყოს, არ შეუძლია მთლიანად შეცვალოს ადამიანი. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მეჩიოეთა ბევრი რაიონი მდებარეობს მთიან, თითქმის მიუვალ ადგილებში. აქაც მეჩიოეთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა ჯერ კიდევ დღის წესრიგში რჩება.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის სამედიცინო მომსახურება. 1960-1963 წლებში აშენდა 9 რაიონული და 40-მდე სოფლის საავადმყოფო, მათში საწოლთა რიცხვი 1.200-მდე გაიზარდა. ახლა მიმდინარეობს რაიონულ საავადმყოფოთა გამსხვილება, ხოლო სოფლის პატარა საავადმყოფოები გარდაიქმნება სოფლის საექიმო ამბულატორიებად, გარდა იმ საავადმყოფოებისა, რომლებიც დაშორებულია რაიონულ ცენტრებს ან რომლებთანაც რეგიონალური მიმოსვლა არ არის.

მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი რაიონული და სოფლის საავადმყოფო მოთავსებულია ძველ, შეუფერებელ შენობებში, რაც ხელს უშლის იმას, რომ მათში საკმაო რაოდენობით დაედგას საწოლები და მთლიანად გამოიყენონ ავადმყოფთა შემოწმებისა და მკურნალობისათვის საჭირო აპარატურა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანო ერთ-ერთი რაიონული საავადმყოფო — ქედის საავადმყოფო, რომელიც მაღალი მთის რაიონში მდებარეობს. საავადმყოფო მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, რაც აძნელებს ავადმყოფთა მკურნალობას, აგრეთვე თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობის გამოყენებას. საჭიროა ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებით ამოიწურებოდა. სანამ ექიმები სხვადასხვა ანკეტასა და რუკას ავსებდნენ, კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა, რომელმაც მუშაობა დაიწყო ჩაის პლანტაციებში და შრომა შეუმსუბუქა მეჩიოეებს. მაგრამ მანქანასა, რა კარგიც უნდა იყოს, არ შეუძლია მთლიანად შეცვალოს ადამიანი. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მეჩიოეთა ბევრი რაიონი მდებარეობს მთიან, თითქმის მიუვალ ადგილებში. აქაც მეჩიოეთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა ჯერ კიდევ დღის წესრიგში რჩება.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის სამედიცინო მომსახურება. 1960-1963 წლებში აშენდა 9 რაიონული და 40-მდე სოფლის საავადმყოფო, მათში საწოლთა რიცხვი 1.200-მდე გაიზარდა. ახლა მიმდინარეობს რაიონულ საავადმყოფოთა გამსხვილება, ხოლო სოფლის პატარა საავადმყოფოები გარდაიქმნება სოფლის საექიმო ამბულატორიებად, გარდა იმ საავადმყოფოებისა, რომლებიც დაშორებულია რაიონულ ცენტრებს ან რომლებთანაც რეგიონალური მიმოსვლა არ არის.

მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი რაიონული და სოფლის საავადმყოფო მოთავსებულია ძველ, შეუფერებელ შენობებში, რაც ხელს უშლის იმას, რომ მათში საკმაო რაოდენობით დაედგას საწოლები და მთლიანად გამოიყენონ ავადმყოფთა შემოწმებისა და მკურნალობისათვის საჭირო აპარატურა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანო ერთ-ერთი რაიონული საავადმყოფო — ქედის საავადმყოფო, რომელიც მაღალი მთის რაიონში მდებარეობს. საავადმყოფო მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, რაც აძნელებს ავადმყოფთა მკურნალობას, აგრეთვე თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობის გამოყენებას. საჭიროა ზებუელი კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და პედიატრიული ბრიგადები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა დისპანსერთა ქსელი, რესპუბლიკაში პირველად გაიხსნა ეროლოგიური დისპანსერი.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონს, პირველ რიგში მაღალი მთის რაიონებს, აკლიათ ექიმთა კადრები. ეს რამდენადმე ითი ახსნება, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ამ რაიონთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ჯეროვან ზრუნვას არ იჩენენ მედიცინის მუშაკთა ცხოვრებისა და შრომის საკირო პირობების შექმნისათვის. მაგალითად, დუშეთში, ბოლნისში, ყაზბეგში, ახალქალაქში, ამბროლაურში და ზოგიერთ სხვა რაიონში ექიმებს ცუდად უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ბინებით.

საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მეჩიოეთა შრომა. მათი მუშაობის სპეციფიკის შესწავლა, მათი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა კომპლექსის შექმნა. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა ძალზე შრომატევადი ოპერაციაა. ექიმებისა და სამეცნიერო-საკვლევი სამედიცინო ინსტიტუტების პირდაპირი მოვალეობაა იზრუნონ მეჩიოეთა შრომის დაცვისათვის, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დრომდე მუშაობა ამ მიმართულებით მეტად ნელა მიმდინარეობდა და უმთავრესად მეჩიოეთა ერთი ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებით ამოიწურებოდა. სანამ ექიმები სხვადასხვა ანკეტასა და რუკას ავსებდნენ, კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა, რომელმაც მუშაობა დაიწყო ჩაის პლანტაციებში და შრომა შეუმსუბუქა მეჩიოეებს. მაგრამ მანქანასა, რა კარგიც უნდა იყოს, არ შეუძლია მთლიანად შეცვალოს ადამიანი. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მეჩიოეთა ბევრი რაიონი მდებარეობს მთიან, თითქმის მიუვალ ადგილებში. აქაც მეჩიოეთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა ჯერ კიდევ დღის წესრიგში რჩება.

ამხანაგო დეპუტატებო! განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების საკითხის განხილვა გამოხატავს ზრუნვას, რასაც მუდმივ იჩენენ პარტია და მთავრობა საბჭოთა ადამიანებისათვის. მოვიყვან ასეთ მაგალითს. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად დიდი სახსრები ხმარდება სოფლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. წლითიწლობით დიდდება მასწავლებელთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა: თუ 1960 წელს სესხი შეადგენდა 180 ათას მანეთს, 1964 წელს ამ თანხამ მიაღწია 250 ათას მანეთს.

ახლა ავიღოთ რამდენმა მასწავლებელმა, ექიმმა, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულების მუშაკმა მიიღო ახალი კეთილმოწყობილი ბინა!

უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია იმის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. ნ. ს. ხრუშჩოვმა დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი უწოდა კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების კანონის პროექტს. პენსიით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შემოღება ხელს შეუწყობს სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ახალ აღმავლობას სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებებისათვის.

მხურვალედ ვუჭერ მხარს კანონთა პროექტებს კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების შესახებ და განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ. ეს ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სისტემატურად ვზარდოთ პარტიის რიგები მოწინავე, პატიოსანი ადამიანებით, მონდომებით ვიმუშაოთ ახალგაზრდა კომუნისტებთან — ასეთია ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა.

ე. ბუთხუზი,
გორის ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ადამიანის წრთობა

ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის პრაქტიკიდან

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიული ორგანიზაცია დიდი ყურადღებით კვლდება პარტიის რიგების ზრდას, გულმოდგინედ ზრუნავს სკკპ რიგების სიწმინდისათვის, უზრუნველყოფს პარტიაში მხოლოდ და მხოლოდ მოწინავე ადამიანების, პირველ რიგში კი იმ ადამიანთა მიღებას, რომლებიც მატერიალურ დოვლათს ქმნიან. მარტო უკანასკნელ ექვს თვეში კომბინატის პირველადმა პარტორგანიზაციებმა პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს მრავალი ათეული ამხანაგი.

პარტიის რიგების ზრდისა და მიღების ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვან შუშობას ეწევა № 2 საქსოვი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ვ. კლიმიაშვილი). მომდინარე საანგარიშო პერიოდში აქ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს 16 ამხანაგი. პარტიაში მიღებამდე პარტიულმა ბიურომ ცოტა მუშაობა როდი გასწია მისაღებ ამხანაგებთან. პარტიული ბიუროს წევრები, ძველი კომუნისტები სისტემატურად ესაუბრებოდნენ მომავალ ახალგაზრდა კომუნისტებს, თვალყურს ადევნებდნენ საწარმოში მათს მუშაობას და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას. ამიტომ იყო, რომ კომუნისტების კრებამ მიიღო ისინი პარტიაში.

პარტიის რიგების სიწმინდისათვის ზრუნვის ერთ-ერთი გამოსატყლებაა კომუნისტებისა პასუხისმგებლობის გაძლიერება რეკომენდაციების გაცემისათვის. აღნიშნული ფაბრიკის პარტიულმა ბიურომ კარგად იცის, რომ რეკომენდაცია უბრალო ცნობა კი არ არის წარმოებაში ერთად მუშაობის შესახებ, არამედ დასა

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

საზღვარგარეთის გამოსამშვრალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებათა გამო

საერთაშორისო საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. ამ დოკუმენტს ფართოდ განმარტავენ საზღვარგარეთის გაზეთები, რადიო და ტელევიზია, ხაზგასმით აღნიშნავენ სსრ კავშირის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას.

გდრ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების დღისწესრიგის შესახებ" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ცენტრალური პრესის მთავარი თემაა. ცნობები ამ მოვლენის შესახებ გაზეთებმა დაბეჭდეს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" მოხსენების შინაარსის გადმოცემისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ დასახეს და ჩამოაყალიბა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარლამენტზე, საფუძვლად უდევს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენებლობის წარმატებანი საბჭოთა კავშირში".

აქვეუნებენ რა ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ მოყვანილ მონაცემებს სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული განვითარების შესახებ, გაზეთები აღნიშნავენ, რომ ყოველივე ეს კომუნიზმის წარმატებით მშენებელი საბჭოთა მშრომელების თვალსაჩინო მიღწევების მკაფიო მაგალითია.

პოლონეთი საბჭოთა ეკონომიკის „საგანგებო სათაურებით „საბჭოთა ეკონომიკის აყვავების დადასტურება", „კანონები საბჭოთა მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ" პოლონეთის გაზეთები ბეჭდავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს. მოაქცევთ ნ. ს. ხრუშჩოვის სამოლოო სიტყვის შინაარსი, ბეჭდავენ ა. ი. მიკოიანის პორტრეტსა და ბიოგრაფიას. საბჭოთა კავშირში გადადგა მორიგი რეალური და კონკრეტული ნაბიჯი სკკპ პროგრამის განხორციელების გზაზე, წერს გაზეთი „ეფოლნეუ ვოლნოსტი". სესიის გადაწყვეტილებანი, განაგრძობს გაზეთი, მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

„ტრიბუნა ლუდუ" ხაზგასმით აღნიშნავს: სესიის გადაწყვეტილებანი მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური კურსი უკანასკნელ ათწლეულში ნაყოფს იძლევა როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრებაში.

აშუ ცნობები ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ ნიუ იორკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სათაურით „დღევანდელი დღის მთავარი მოვლენები".

„ტრიბუნის დიდ სასახლეში წარმოთქმულ სამსაათნახევრიან სიტყვაში პრემიერმა ხრუშჩოვმა, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი", — ჩამოთვალა მრავალი ღონისძიება, რომელთა მიზანია საბჭოთა მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესება".

„ნიუ-იორკ ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი პეტრი ტენერი გამოაყოფს საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვებს ორი სისტემის ეკონომიური შეჯიბრების პერსპექტივების შესახებ. „ხრუშჩოვმა იწინასწარმეტყველა, — წერს კორესპონდენტი, — რომ საბჭოთა კავშირი გაიმარჯვებს მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში შეერთებულ შტატებთან... ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობისათვის ეკონომიკის განვითარება და მასების ცხოვრების დონის გაუმჯობესება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და უველაზე საინტერესო მიზნებია".

ინგლისი ინგლისის ყველა პოლიტიკური მიმართულების გაზეთები დიდი სათაურებით ბეჭდავენ მრავალ ციტატს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან.

გავლენიანი „ტაიმსი" ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გამოაცხადა, რომ ხელფასი მოემატება 18 მილიონზე მეტ საბჭოთა მშრომელს და პენსიები მიეცემა კოლმეურნეებს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების გაცემის პროგრამის შესახებ „რეგოლუციური ხასიათი" აქვს.

შოტლანდიის უდიდესი გაზეთი „სკოტსმენი" „წარმტაცს" უწოდებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ხელფასი მოემატება მთელი რიგი კატეგორიების საბჭოთა მშრომელებს. ეს ბატონ ხრუშჩოვის კამპანიის ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომლის მიზანია ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება, აღნიშნავს გაზეთი.

„სკოტსმენი" აგრეთვე აღნიშნავს, რომ „თავდაცვის ხარჯების შემცირებას, რაც ბატონმა ხრუშჩოვმა განახორციელა, სულ უფრო მეტი შედეგები მოაქვს".

ნორვეგია ნორვეგიის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ცნობა უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ და განმარტა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენების ძირითადი ნაწილები. გაზეთები აღნიშნავენ — ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თავაური იდეა ის არის, რომ განხორციელდეს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი.

იტალია „უნიტა", „პოპოლო" და იტალიის სხვა გაზეთები პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით ბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. გაზეთები განსაკუთრებით დაწვრილებით აშუქებენ მოხსენების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებზე. გაზეთი „მესაჯერო", მაგალითად, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა მთავრობის მეთაურმა წარადგინა ორი კანონშეროეკტი, რომლებიც მიმომხილველებს მიაჩნიათ ისეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებად, რომლებიც კი მოხკოვს ოდესმე განუხორციელებია მრავალი წლის მანძილზე საშინაო პოლიტიკაში".

იტალიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე საბჭოთა ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს. ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად მრეწველობის პროდუქცია საბჭოთა კავშირში შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის პროდუქციის მოცულობის დაახლოებით 65 პროცენტს.

შვეიცია სტოკპოლმის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით ბეჭდავენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენების ძირითადი დებულებების შინაარსს. შვეიცის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ წარმატებების კონკრეტულ ციფრებსა და მაჩვენებლებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხმა მეურნეობამ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობამ მოიპოვა განვლილ ათწლეულში. გაზეთები გამოძახეულნ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვების იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხს სჯერა, რომ გაიმარჯვებს ეკონომიურ შეჯიბრებაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან. პრესა ფართოდ აშუქებს მოხსენების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია კოლმეურნეების პენსიებით უზრუნველყოფის სისტემის შესახებ, აგრეთვე იმას, რომ ხელფასი მოემატება მასწავლებლებს და მედიკებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებისათვის დამახასიათებელია ოპტიმიზმი, აღნიშნავს გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტ".

გფრ დასავლეთ გერმანიის გაზეთებმა დაბეჭდეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენების შინაარსი ასეთი სათაურებით: „ცხოვრების უფრო მაღალი დონე", „ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს" და სხვ.

„გენერალ-ანციაგერი", განმარტავს რა მოხსენებას, კერძოდ, წერს: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თავის ვრცელ გამოსვლაში უმაღლესი საბჭოს სესიაზე კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დაეწევა და გაუსწრებს შეერთებულ შტატებს ეკონომიკის განვითარების დარგში.

გაზეთი „ნოიე რაინ-ციტუნგი" განსაკუთრებით გამოაყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ეკონომიკის განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკა და იდეოლოგია.

ალჟირი ალჟირის პრესამი დაიბეჭდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიკოიანის პორტრეტები და მისი ბიოგრაფია. გაზეთები ბეჭდავენ ხელფასის მომატების კანონის შინაარსს, რომელიც უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო.

სოციალისტურ სექტორში მუშაობისათვის პასუხისმგებელმა, ალჟირის პარტიის — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრმა საფი ბუდისამ თქვა: „ალჟირელ მშრომელებს არ შეუძლიათ ტაში არ დაუკრან ამ შესანიშნავ ღონისძიებას. განათლების მუშაკთა, მედიცინის მუშაკთა და მთელ რიგ სხვა კატეგორიათა საბჭოთა მშრომელებისათვის ხელფასის მომატება შესანიშნავი მიღწევაა, რომელიც მოწმობს საბჭოთა კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას". (საკდესი).

დღესასწაულის შესახვედრად

ვარშავა, 15 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი იუწყება: ამ დღეებში, სახალხო პოლონეთის 20 წლისთავისა წინ, პოლონეთის ყოველი კუთხიდან მოდის კარგი ამბები პოლონელი ხალხის შრომითი წარმატებების შესახებ.

კარგი საჩუქარი მოუმზადეს ქვეყანას კატოვიცის სავოეკოდოს მშრომელებმა, რომელსაც პოლონეთის „ინდუსტრიულ გულს" უწოდებენ. აქ საგეგმოზატაციოდ გადასცემენ 200 ახალ სამრეწველო ობიექტს.

ძაზოვეცის ნავთობსაწმენდი და ნავთობგადასამუშავებელი კომბინატის მშენებლებმა 8 ათასიანი კოლექტივი ემზადება იმისათვის, რომ საგეგმოზატაციოდ გადასცეს სოციალიზმის ახალშენების პირველი რიგი. პოლონეთის დიდი ქიმიის ეს გიგანტი, რომელსაც 40 ჰექტარი ფართობი უკავია, მოკლე ვადაში — 42 თვეში შეიქმნა. უკვე შემოწმებულია ყველა მექანიზმი. ავტომატური მოწყობილობანი.

ეროვნული დღესასწაულის წინ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები აჯამებენ თავიანთი შრომის შედეგებს.

თავს დაესხნენ კენიის პრემიერ-მინისტრს

მაირობი, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს ადგილობრივი გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უმობენ იმას, რომ გუშინ, ლონდონში თავს დაესხნენ კენიის პრემიერ-მინისტრს ჯომო კენიატას. კენიის საინფორმაციო სააგენტოს ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ჯომო კენიატას თავს დაესხნენ „ინგლისის ფაშისტური ჯგუფის წევრები".

გაზეთი „იტ ფორიკენ სტანდარდი" მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს თავდასხმა კენიისა და მისი ეროვნული ლიდერისადმი უაზრო უპატივცემულობის გამოვლინებაა. ზედმეტი არ იქნება იმის მოგონება, წერს გაზეთი, რომ ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა კონფერენციაზე კენიის პრემიერ-მინისტრმა ჯომო კენიატამ ღირსეული წვლილი შეიტანა სამხრეთ როდეზიის პრობლემის გადაწყვეტაში ამ ქვეყნის აფრიკელი მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად. როგორც ჩანს, კენიის პრემიერ-მინისტრის აქტიური როლი ამ კონფერენციაზე არ მოეწონა ინგლისს დედაქალაქის ზოგიერთ უკიდურესად მემარჯვენე ელემენტს.

„ოფიციალური" ლიდერის ბარი გოლდუოტერის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოყენებას ბევრმა ამერიკულმა გაზეთმა ფელეტონები და კარიკატურები მიუძღვნა.

გაზეთ „მინეაპოლის ტრიბუნში" გამოქვეყნებულ ნახატზე გამოსახულია სპილოზე (რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო) მჯდომი ბარი გოლდუოტერი. კარიკატურას ასეთი წარწერა აქვს:

— ახლა კი... უკუსვლით!

საკდესის ფოტოკორონიკა.

ანგუან გიზენგა გაათავისუფლეს

პარიზი, 16 ივლისი (საკდესი). კონგოს დედაქალაქში გავრცელდა ოფიციალური კომუნიკე ანგუან გიზენგას პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეიკოლდილინან.

სან-ფრანცისკო, 16 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ლ. ველიჩანსკი და ს. ფრომენი იუწყებიან:

ბ. გოლდუოტერი პრეზიდენტობის კანდიდატია

რესპუბლიკური პარტიის ყრილობამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში დაასახელა პარტიის მემარჯვენე ფრთის ლიდერი სენატორი არიზონის შტატისაგან ბარი გოლდუოტერი.

აქაურ მეთვალყურეთა უმრავლესობას კეთილგანდეგურად მიაჩნია, რომ გოლდუოტერის დაჯეგუფება მხოლოდ უმცირესობაა რესპუბლიკური პარტიის ოფიციალურ წევრებისა და მომხრეებისა. მაგრამ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ შტატების მესვეურთა ოხუმა ფინანსურმა დახმარებამ, ნახევრად ფაშისტური ტიპის ორგანიზაციათა აქტიურმა მხარდაჭერამ, პარტიის ხელმძღვანელობის საეჭვო მანევრებმა და განსაკუთრებით განხეთქილებამ მის მოწინააღმდეგეთა — რესპუბლიკური პარტიის „ლიბერალური" ფრთის წარმომადგენელთა შორის უზრუნველყო გოლდუოტერის გამარჯვება პარტიულ ყრილობაზე. გოლდუოტერის კანდიდატურის დასახელება ნიშნავს, რომ რესპუბლიკურ პარტიაში, ყოველ შემთხვევაში დროებით, გაიმარჯვეს უკიდურესმა მემარჯვენე ელემენტებმა, რომლებიც ილაშქრებენ შშვიდობიანი თანაარსებობის იდეის წინააღმდეგ საგარეო პოლიტიკაში, ყოველგვარი სოციალური პროგრესის წინააღმდეგ ამ ქვეყნის შიგნით. გოლდუოტერის გამარჯვება ყრილობაზე აგვარგვინებს უკიდურესი მემარჯვენე ელემენტების მიერ რესპუბლიკური პარტიის ალაიაზის ხელში ჩაგდებას.

პირველივე კენჭისყრის დროს გოლდუოტერმა მიიღო 883 ხმა, ესე იგი იგი გაცილებით მეტი, ვიდრე საჭიროა კანდიდატურის დასამტკიცებლად. 214 ხმა მიიღო სკრენტონმა, 114 — ნ. როკფელერმა და 87 — სხვა კანდიდატებმა.

კენჭისყრის შემდეგ სკრენტონმა განაცხადა, რომ თუმცა „არ უარყოფს პრინციპებს, მაგრამ ჯარს ამბობს მიცემულ ხმებზე გოლდუოტერის სასარგებლოდ, რათა პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელება ჩაივალოს ერთხმად დასახელებად. ეს წინადადება მიიღეს კენჭისუყრელად, თუმცა როცა ყრილობის თავმჯდომარემ გამოაკითხა დელეგაციებს, ბევრმა დელეგატმა, რომლებმაც ხმა მისცა სკრენტონს, უარი თქვა შეეცვალა თავისი პოზიცია. მათ გაანაცხადეს, რომ წინადადებულად ხმას აძლევენ სკრენტონს.

დღეგანდელი სხდომის დროს, ისევე როგორც გუშინ, „ეროხის სასახლესთან", სადაც ყრილობა მიმდინარეობს, პიკეტები ჰკიდიან დაკიენებული ბანგებსა და რასობრივი უთანასწორობისა და დისკრიმინაციის მოწინააღმდეგე თეთრკანიანებს. ისინი პროტესტს აცხადებენ ყრილობაზე მიღებული პროგრამის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ კანდიდატად დაასახელეს გოლდუოტერი, რომელიც ელაციცება რასისტებს და აშკარად სარგებლობს მათი მხარდაჭერით.



ვაშინგტონი, 16 ივლისი (საკდესი). რესპუბლიკური პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატობის მთავარი პრეტენდენტის სენატორ გოლდუოტერის მთავარი ბინა ახლა შეიარაღებულ ბანაკს მოგვაგონებს, იუწყება სან-ფრანცისკოდან ამერიკელი მომამხილველი დრიუ პირსონი. შეიარაღებული დეტექტივები იცავენ სასტუმროს, სადაც თავისი შტაბით დაბინავდა „ცოფიანთა" მეთაური, აგრეთვე ლიფტებს, რომლებითაც იგი სარგებლობს. მაგრამ თუ დაცვაზე ვილაპარაკებთ, იგი პირველ რიგში სჭირდება არა გოლდუოტერს, არამედ მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ფოსტით და ტელეფონით სკრენტონის ბანაკს მოსდის უთარავი ლანძღვა და შეურაცხყოფა.

გაზეთების მიმომხილველებს, რომლებმაც გამბედეს გოლდუოტერის გაკრიტიკება, მოსდით ლანძღვის წერილები. ნიუ-იორკის გუბერნატორს როკფელერს, რომელიც გოლდუოტერის წინააღმდეგ გამოდიოდა კალიფორნიაში წინასწარი საარჩევნო კამპანიის დროს, მოუვიდა 200 წერილი, რომლებშიც ემუქრებოდნენ, მოგსპობთ ბომბის აფეთქებითო. ეს ფაქტი, აღნიშნავს პირსონი, დიდად სავალალოა და მოწმობს, რომ გოლდუოტერელები მოუთმენლად, ფანატიკურად და გაჯფერებით მიიწევენ ხელისუფლებისაკენ.

მაგრამ თუ გაეცნობით მძვინვარე პოლიტიკანებსა და „ზეკაცებს" უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკიდან, რომლებმაც მოძებნეს და წამოაყენეს გოლდუოტერი საზოგადოებრივ ასპარეზზე, აცხადებს პირსონი, აღარაფერი გაგიკვირდებათ.

ქრონიკა

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზში დაიწყო დასავლეთ ევროპის კავშირის ქვეყნების (კარდახშული სამხედრო დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაში არიან „საერთო ბაზრის" წევრი ქვეყნები და ინგლისი) მინისტრთა სესია, რომელიც ორ დღეს გასტანს.

დღეგანდელ სხდომაზე უმთავრესად განიხილეს პოლიტიკური პრობლემები.

ტოკიო, 15 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა წრიული კინოპანორამის თეატრი. იაპონიაში და აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა. ეს პირველი კინოთეატრი აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე მოწყობილობით, რომელიც მთლიანად დამზადებულია საბჭოთა კავშირის ქარხნებში. მოწყობილობის დამონტაჟება და კინოთეატრის მშენებლობა განხორციელებულია მოსკოვ ვადაში სსრ კავშირისა და იაპონიის სპეციალისტთა მჭიდრო თანამშრომლობით. თეატრის გახსნაზე, რომლის მფლობელია სანახაობრივ საწარმოთა კომპანია „კორაკუენი" შეიკრიბნენ იაპონიის წამყვანი კინოკომპანიების პრეზიდენტები და დირექტორები, კინოთეატრების მეპატრონეები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. აგრეთვე სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები და საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა წარმომადგენლები. წრიული კინოპანორამის თეატრის გახსნის გამო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა იაპონიაში ა. ა. როზანოვმა. შემდეგ დამზადებულ ნახეს კინოფილმი „წყალზე და წყალქვეშ".

საარჩევნო კამპანია ამერიკული წესით

ვაშინგტონი, 16 ივლისი (საკდესი). რესპუბლიკური პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატობის მთავარი პრეტენდენტის სენატორ გოლდუოტერის მთავარი ბინა ახლა შეიარაღებულ ბანაკს მოგვაგონებს, იუწყება სან-ფრანცისკოდან ამერიკელი მომამხილველი დრიუ პირსონი. შეიარაღებული დეტექტივები იცავენ სასტუმროს, სადაც თავისი შტაბით დაბინავდა „ცოფიანთა" მეთაური, აგრეთვე ლიფტებს, რომლებითაც იგი სარგებლობს. მაგრამ თუ დაცვაზე ვილაპარაკებთ, იგი პირველ რიგში სჭირდება არა გოლდუოტერს, არამედ მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ფოსტით და ტელეფონით სკრენტონის ბანაკს მოსდის უთარავი ლანძღვა და შეურაცხყოფა.

გაზეთების მიმომხილველებს, რომლებმაც გამბედეს გოლდუოტერის გაკრიტიკება, მოსდით ლანძღვის წერილები. ნიუ-იორკის გუბერნატორს როკფელერს, რომელიც გოლდუოტერის წინააღმდეგ გამოდიოდა კალიფორნიაში წინასწარი საარჩევნო კამპანიის დროს, მოუვიდა 200 წერილი, რომლებშიც ემუქრებოდნენ, მოგსპობთ ბომბის აფეთქებითო. ეს ფაქტი, აღნიშნავს პირსონი, დიდად სავალალოა და მოწმობს, რომ გოლდუოტერელები მოუთმენლად, ფანატიკურად და გაჯფერებით მიიწევენ ხელისუფლებისაკენ.

მაგრამ თუ გაეცნობით მძვინვარე პოლიტიკანებსა და „ზეკაცებს" უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკიდან, რომლებმაც მოძებნეს და წამოაყენეს გოლდუოტერი საზოგადოებრივ ასპარეზზე, აცხადებს პირსონი, აღარაფერი გაგიკვირდებათ.

ქრონიკა

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზში დაიწყო დასავლეთ ევროპის კავშირის ქვეყნების (კარდახშული სამხედრო დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაში არიან „საერთო ბაზრის" წევრი ქვეყნები და ინგლისი) მინისტრთა სესია, რომელიც ორ დღეს გასტანს.

დღეგანდელ სხდომაზე უმთავრესად განიხილეს პოლიტიკური პრობლემები.

იერიში გრძელდება...

ბასტილიის დამხობის 175 წლისთავი

□

მრგვალ კვარცხლბეკზე დგას 50 მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს სვეტი — 1830 წლის რევოლუციის — ბარიკადებზე დაღუპულთა უკვდავების სიმბოლო. მის წვერზეა მფრინავი გენია თავისუფლებისა. აქვე დაკრძალული არიან 1848 წლის რევოლუციის გმირებიც...

... ხალხს მოთმინების ფიალა აევსო, აღარ ძალუძდა ძველებურად ცხოვრება, და 1789 წლის 13 ივლისს პარიზელები აჯანყდნენ. მათ ხელო ჰქონდათ 28 ათასი თოფი და რამდენიმე ქვემეხი. მეორე დღეს შეიარაღებული ხალხი ყოველი მხრიდან დაიძრა ბასტილისაკენ. დელეგაციის მეშვეობით მათ მიმართეს ბასტილიის კომენდანტს, რომ მიეცა იარაღი და მოეხსნა ქვემეხები ციხის კოშკებიდან. მაგრამ მეფის მსახური მათ ტყვიით შეხვდა, მან ბრძანა ქვემეხები დამემზადებინათ სენტ-ანტუანისა და პარიზის სხვა გარეუბნებისათვის, სადაც უბრალო ხალხი ცხოვრობდა. მაშინ გაისმა ნაღარის საბრძოლო ბოლდება და აჯანყებულნი დაიძრნენ ბასტილიისაკენ, რათა აღეგო შემოეტყვა მისთვის. ციხის კედლებიდან მათ ცეცხლით უპასუხეს.

ხალხი ბობოქრობდა. ყოველი მხრიდან ისმოდა ერთიდა იგივე შეძახილი:

— დაგამხოთ ბასტილია!

— დაგანგრიოთ თავისუფლების საპყრობილე!

აჯანყებულებმა ახლოს მიაგორეს ქვემეხები, ცეცხლი გაუფრენეს ასაწევი ხიდის ჯაჭვი და გახსნეს გზა ციხის ეზოსაკენ. შეტევაზე გადასულებმა ორი ურემი ჩალა დაწვეს და კვამლის საფარქვეშ დაიწყეს იერიში. შეიარაღებული ხალხი ციხეში შეიჭრა.

შეადიისათვის მძიმე ბრძოლების შემდეგ ბასტილიამ იარაღი დაყარა. ციხის კომენდანტს თავი მოკვეთეს, შუბის წვერზე წაათრაგეს და ასე ჩამოტარეს მოზეიმე პარიზში. განთავისუფლებულ იქნენ ბასტილიის ტუსაღები, რომელთაგან ერთ-ერთი იქ 40 წელზე მეტ ხანს იყო გამომწყვდეული.

ბასტილია — მეფის თვითნებობის ეს საძულველი სიმბოლო დაეცა! და, როცა მეფე ლუი XVI-ეს ეს ამბავი აუწყეს, მან წამოიძახა: „ეს ხომ ამბოხებაა!" — „არა, თქვენო უდიდებულესობავ, — განუმარტა ერთ-ერთმა კარისკაცმა, — ეს რევოლუციაა!".

დიახ, ბასტილიის დაცემა იყო საფრანგეთის 1789-1794 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისი, იმ რევოლუციისა, რომელმაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ფეოდალიზმს. და სწორედ ამაში იყო ამ რევოლუციის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა. ბასტილიის დაცემის შემდეგ ფრანგმა ხალხმა მალე დაამხო მონარქია, რომელიც მას მრავალი საუკუნის მანძილზე ჩაგრავდა.

ხალხი ბასტილიის აღებას როდი დასჯერდა. მან ეს ციხე აგურ-აგურ დაშალა, და იმ ადგილზე, სადაც ბასტილია იყო აღმართული, პარიზელებმა გააკეთეს შესანიშნავი მოედანი, ხოლო ციხის მასალისაგან — ხიდი სენაზე და ქვის სვეტი ბასტილიის მოედნის ცენტრში; სვეტზე ამოკვეთეს ორად ორი სიტყვა, „აქ ცეკვავენ". ბასტილიის ადგილზე პარიზელები მღერიდნენ თავიანთ ცხობილ სიმღერას „ყველა წინ!" — და ცეკვავდნენ.

ბასტილიის მოედნის ახლოს არის თანხმობის მოედანი, სადაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს პირველი გილოტინა დაიდგა, სადაც სიკვდილით დასაჯეს შეფე ლუი XVI და დედოფალი მარიამ ანტუანეტა. აქ გილოტინამ თავი მოაკვეთა ბობოქარ დანტონსა და კამილ დემულენს, რობესპიერს, სენ-ჟიუსტსა და სხვა უმიზარ რევოლუციონერებს.

მეძატიანეთა ცნობით, ნაპოლეონის მომხრეებს სურდათ ამ მოედნისათვის მისი სახელი დაერქმიათ. მაგრამ თვითონ იმპერატორმა უარი განაცხადა, საფრანგეთს თანხმობა ესაჭიროებოდა, და წამების ამ მოედანს თანხმობის მოედანი უწოდეს.

აჯანყებული ხალხის მიერ ბასტილიის აღებისა და დანგრევის დღე — 1789 წლის 14 ივლისი გადაიქცა ფრანგი ხალხის ეროვნულ დღესასწაულად. ამ დღეს ხალხი ხანს მუშაობი, მოსამსახურეები, სტუდენტები ცეკვავენ მოედანზე, ცეკვავენ იქ, სადაც შეუპოვრად იბრძოდნენ მათი სახელოვანი წინაპრები...

175 წელი შესრულდა ბასტილიის დაცემიდან. მაგრამ ყველა კეთილ ადამიანს, სადაც უნდა ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ისინი, ახსოვს ციხის მოიერიშე ხალხის ამაყი სიტყვები:

— იერიშზე! იბრძოლეთ ჩაგრისა და ზეკაცდიდის წინააღმდეგ!

— გაუმარჯოს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას, გაუმარჯოს ხალხს!

მეასესამოცდახუთმეტჯერ გამოვიდა ქუჩებში საფრანგეთის მშრომელი ხალხი, რათა ზეიმით აღინიშნოს ეს დიდი თარიღი. მშრომელნი ერთხელ კიდევ ახდენენ თავიანთი ძალების ერთიანობის საბრძოლო დათვალიერებას, მტკიცედ იმაღლებენ ხმას თავიანთი უფლებებისათვის, მთავრობისაგან მოითხოვენ სწრაფად მზარდი ფასების შესაბამისად ხელფასის მომატებას, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მშვიდობის, განიარაღების პოლიტიკისათვის მხარის დაჭერას. ამით კი ქვეყნიერებას ამცნობენ, ნ. ბასტილიის იერიში გრძელდება!

...ასობით წელი გავა, მაგრამ მშრომელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ბასტილიის დამხობის დღეს. იგი სიყვარულით, პატივისცემით მოიგონებს ყველა იმათ, ვინც იერიში მიიტანა ძალადობისა და თვითნებობის ციხესიმაგრეზე.

ფ. მახარაძე.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, პარასკევი, 17 ივლისი, 1964 წ.

საფრანგეთი ეთხოვება მორის ტორეზს

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). არც ერთი წუთით არ წყდება ათასობით ადამიანის სამგლოვიარო მსვლელობა, რომლებიც ლე პელეტიეს ქუჩაზე შენობაში მოვიდნენ, რათა უკანასკნელად სცენ პატივი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, სადაც დგას კუბო მორის ტორეზის ცხედრით, ნახავთ პარიზის მეტრის კონტროლიორსა და მტვირთავს, მოსამსახურესა და რკინიგზელს — ბევრ მათგანს სამუშაო ტანსაცმლის გამოცვლაც კი ვერ მოუსწრია, შესვენების დროს მოსულა აქ.

ტორეზთან გამოსათხოვრად მოვიდნენ მხატვარი ანდრე ფუჟერონი და გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის" მთავარი რედაქტორი ანდრე კარელი, სააგენტო „ახალი ამბების" დირექტორი ბ. ბუტკოვი და 83 წლის ფრანგი მუშა, რომელიც დაკრძალვაზე ჩამოვიდა ნორის დეპარტამენტიდან...

დინჯად შეფიცან სამგლოვიაროდ ჩაბნელებულ დარბაზში შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონფედერალური ბიუროს დელეგაცია, საფრანგეთის ბევრი პროფკავშირული ფედერაციის წარმომადგენლები, საფრანგეთის სტუდენტთა კავშირის წარმომადგენელთა ჯგუფი.

ცოცხალი ყვავილების დიდი გვირგვინიო შეამკეს კუბი სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა და საელჩოს მუშაკთა ჯგუფმა.

გვიან ღამემდე გაგრძელდა სამგლოვიარო მსვლელობა.

აფრიკის ერთობისათვის

ალჟირი, 16 ივლისი. (საკდესი). აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭომ, ემზადება რა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მეორე სრულიად აფრიკის კონფერენციისათვის, რომელიც 17 ივლისს გაიხსნება აქ, განიხილა დღის წესრიგის მთელი რიგი საკითხები.

საბჭოს პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა აპარტეიდისა და რას

„ოტელოს“ წარმატება

გუშინ გვიან ღამით ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა ნ. სტორმა გვაცნობა:

— დღეს მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ა. მაჭავარიანის „ოტელო“, რომელიც თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა ყრილობათა სასახლის სცენაზე წარმოადგინა.

„ოტელოს“ უდიდესი წარმატება ხვდა. ხუთთასიან დარბაზში ექვსი ათასი მაყურებელი მაინც იქნებოდა. ათასამდე კაცი ფეხზე იდგა და ისე უცქერდა ამ შესანიშნავ სპექტაკლს. მაყურებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მონაწილენი.

დღეს თბილისელები ყრილობათა სასახლის სცენაზე წარმოადგენენ გუნოს „ფაუსტს“.

საჭადრაკო ტურნირები

ბუენოს-აირესი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე უკვე გათამაშდა ხუთი ტური. მეხუთე ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა დაამარცხა არგენტინელი რიბინეტი, კერესმა — ლეტელიე.

ხუთი ტურის შემდეგ ერთიროვნული ლიდერია პ. კერესი, რომელსაც ხუთი ქულა აქვს.

ლენინგრადი. მიიწერება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის საჭადრაკო მატჩი. უკანასკნელ ტურში შეხვედრათა უმრავლესობა დამთავრდა ყაიმით. **საერთო ანგარიშია 37 : 20 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.**

კისლოვოდსკი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის პრიზზე გათამაშდა ხუთი ტური. წინ არის საბჭოთა გროსმაისტერი **შტეინი,** რომელსაც 4 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი.

ბოლშევიკური პრესა

ნახევარფინალის მონაწილენი

დამთავრდა ტაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ზონალური ტურნირი. რვა ნახევარფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 48 გუნდმა. მესამე ჯგუფში მატჩები გაიმართება 28 ივლისამდე ქალაქ საღლავათში (ბაშკირეთის ასსრ) და მონაწილეობას მიიღებენ ტაბუკთა შემდეგი გუნდები: „დინამო“ (თბილისი), „ენერგეტიკოსი“ (დუშანბე), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ისკრა“ (ყაზანი), „სპარტაკი“ (ბაკო) და „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფინალში, რომელიც 6 სექტემბერს გაიმართება ლვოვში.

ჩემპიონის ორი ქულა

გუშინ მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში: დედაქალაქის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ შორის. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მეორე ტაიმში დინამოელებმა მეტოქის კარში გაიტანეს.

ამ ორი ქულით ჩემპიონმა — მოსკოვის „დინამომ“ მეთოთხმეტედან მეათე ადგილზე გადაინაცვლა. დინამოელებს 12 თამაშიდან 12 ქულა აქვთ.

„იმედის“ თასზე

გრძელდება ახალგაზრდულ ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო შეჯიბრება „იმედის“ თასზე. გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა. თამაშობდნენ საქართველოსა და რსფსრ გუნდები. შეუპოვარი ბრძოლა დამთავრდა საქართველოს ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 2.

კოლმეურნე მხედრები იპოდრომზე

ცხენოსნობის მოყვარულებმა ნამდვილად მოიწყინეს. აბა გავიხსენოთ, რამდენი ხანია დელიესის იპოდრომზე არ გაუმართავთ რესპუბლიკური ან საკავშირო მნიშვნელობის ასპარეზობა, მხედართა დიდი პაექრობა. მისასალმებელია, რომ საზოგადოება „კოლმეურნის“ პირადგუნდური ჩემპიონატი წელს თბილისში დაინიშნა.

ეს შეჯიბრება გუშინ გაიხსნა.

ცხენოსანთა პარადისა და ალმის აღმართვის შემდეგ დაიწყო ბრძოლა დაბრკოლებათა გადალახვაში შეჯიბრების გახსნის პრიზზე. თვითეულ მხედარს უნდა დაეძლია სხვადასხვა სირთულის 12 დაბრკოლება, ამასთან ჩატეულიყო ორ წუთში. დისტანციაზე არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღიათ გ. კოჩკიანს, ა. დოლუენკოსა და ნ. კვირკველიას. ჩემპიონის გამოსავლენებლად მსაჯთა კოლეგიამ მათ შორის მოაწყო დამატებითი შეჯიბრება.

აქ ყველას სძლია გულრიფშის სპორტსმენმა ნ. კვირკველიამ. მას არ მიუღია საჯარიმო ქულა და აჩვენა დრო — 1 წუთი და 4,5 წამი. მეორე ადგილი დაიკავა გ. კოჩკიანმა, მესამე — ა. დოლუენკომ.

მომზიდველი იყო სადა დოღი 2.000 მეტრზე. აქ პირველი ადგილი დაიკავა ს. ხასიამ (ზუგდიდი, ცხენი „გუდაუთი“), დრო — 2 წუთი და 19 [illegible] ... სპარიზო ადგილები დაიკავეს ვ. დარასელიამ (ზუგდიდი) და კ. ჯენიამ (გუდაუთი).

დილით მოეწყო შეჯიბრება სამანეჟო სვლაში, რომელიც „სამჭიდის“ პროგრამით არის გათვალისწინებული. დაწინაურდა დ. ბოფერია (გულრიფში).

სურათებზე: მარცხნივ — დოღი 2.000 მეტრზე; მარჯვნივ — ნ. კვირკველია დაბრკოლების გადალახვისას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ქუთაისის ალ. ღუნუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1964/65 სასწავლო წლისათვის

დღის და საღამოს განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

ა) **დღის განყოფილება:** 1) ქართული ენა და ლიტერატურა; 2) რუსული ენა და ლიტერატურა; 3) ქართული ენა, ლიტერატურა და უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); 4) ისტორია; 5) მათემატიკა; 6) ფიზიკა; 7) ბიოლოგია-ქიმია; 8) გეოგრაფია; 9) დაწყებითი განათლების მეთოდიკა.

ბ) **საღამოს განყოფილება:** 1) ქართული ენა და ლიტერატურა; 2) რუსული ენა და ლიტერატურა; 3) ისტორია; 4) დაწყებითი განათლების მეთოდიკა.

ინსტიტუტში შემსვლელნი (ორივე განყოფილებაზე) მისაღებ გამოცდებს სპეციალობის მიხედვით აბარებენ შემდეგ საგნებში (მაპროფილებელი საგანი აღნიშნულია გარსკვლავით): I. **ქართული ენისა და ლიტერატურის** სპეციალობაზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი); ისტორიაში;* უცხო ენაში.*. II. **რუსული ენისა და ლიტერატურის** სპეციალობაზე: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი);* სსრკ ისტორიაში;* უცხო ენაში.* III. **ქართული ენის, ლიტერატურისა და უცხო ენების** სპეციალობაზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი);* უცხო ენაში;* სსრკ ისტორიაში.* IV. **ისტორიის** სპეციალობაზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი);* სსრკ ისტორიაში.* V. **მათემატიკის** სპეციალობაზე: მათემატიკაში (წერა, ზეპირი);* ფიზიკაში;* ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა). VI. **ფიზიკის** სპეციალობაზე: მათემატიკაში (წერა, ზეპირი);* ფიზიკაში;* ქიმიაში.* ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა). VII. **ბიოლოგია-ქიმიის** სპეციალობაზე: ქიმიაში;* ფიზიკაში;* ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა). VIII. **გეოგრაფიის** სპეციალობაზე: მათემატიკაში (წერა, ზეპირი);* გეოგრაფიაში;* ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა). IX. **დაწყებითი განათლების მეთოდიკის** სპეციალობაზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი);* სსრკ ისტორიაში.*

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. **დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ** (დედანი), 2. **დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად,** რომელსაც ამძლევენ პარტიული, კომკავშრომული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს — სკოლის პედაგოგიური საბჭოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან. 3. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ გამოუშავებული შრომადღეების რაოდენობასთან ერთად დაწესებული შრომადღეების მინიმუმი. კოლმეურნეობაში მუშაობის ყოველი კალენდარული წლისათვის. 4. **ავტობიოგრაფია,** 5. **სამედიცინო ცნობა** (ფორმა № 286), 6. **ოთხი ფოტოსურათი** (უქუდოდ, ზომით 3X4, დამოწმებული), 7. **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.**

საბუთების შეტანისას შემსვლელნი პირადად ადგენენ პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

შენიშვნა: საღამოს განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ ის მოქალაქენი, რომლებიც ქ. ქუთაისში მუშაობენ. ამასთან მან აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში (ქ. ქუთაისი, კიროვის ქუჩა № 55, ტელეფონი 26-28).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს 1964-1965 სასწავლო წელს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

ქირურგია — 1, ინფექციური დაავადებანი — 1, მეანობა და გინეკოლოგია — 1, ნეიროქირურგია — 1, რენტგენოლოგია — 1, სტომატოლოგია — 1, ფარმაკოლოგია — 1, ვირუსოლოგია — 1, ციტოლოგია — 1, ფარმაცევტული ქიმია — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება იწარმოებს 1964 წლის 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში (თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა, 10, III სართული).

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1964 წლის 5-სექტემბრიდან 25-სექტემბრამდე.

საქართველოს მეტალურგიის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1964-65 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით

I. 1. მყარი ტანის ფიზიკა — ერთი ადგილი; 2. შავი ლითონების მეტალურგია — ერთი ადგილი; 3. მაღალი სისუფთავისა და პრეციზიული შენადნობების მეტალურგია — ორი ადგილი და 4. მასალათა ქიმიური წინაღობა და კოროზიისაგან დაცვა — ერთი ადგილი.

II. **დაუსწრებელი ასპირანტურა:** 1. ლითონმცოდნეობა და თერმული დამუშავება—ერთი ადგილი და 2. ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი ლითონების მეტალურგია — ერთი ადგილი.



ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთებს ინსტიტუტი მიიღებს ა. წ. 25 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები — 5-სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

ცნობების მიღება ასპირანტურაში შესვლის წესების შესახებ შეიძლება ინსტიტუტის სწავლულ მდივანთან: **(თბილისი, პავლოვის ქ. № 15. ტელ. 7-02-85).**

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

18 ივლისს

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ჟურნალი ოქტომბრელთათვის „ჯეჯილი“, 18.50 — კინონარკვევი „იქ, სადაც იმალება ზამთარი“, 19.00 — გადაცემა „ჩვენი კალენდარი“, 19.10 — კინონარკვევი „წყალქვეშა ბილიკებით“, 19.30 — გადაცემა ციკლიდან „იცით თუ არა“, 19.45 — კინონარკვევი — მეგობრობის გამარჯვება“, 19.55 — სპორტული გადაცემა, 20.45 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 21.15 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“, 21.50 — ახალი ამბები, 22.05 — საესტრადო კონცერტი ციკლიდან „საბჭოთა საესტრადო მუსიკა“.

რადიო

18 ივლისს

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული სიმღერები, 08.30 — მუსიკა კინოფილმებიდან, 09.15 — ს. მირიანაშვილის სიმღერები, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — გ. ყანჩელი. კონცერტი ორკესტრისათვის, 11.15 — რუმინული მუსიკა, 12.15 — გადაცემა ციკლიდან — „შვიდწლეული გმირები“, 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ბურატინოს თავგადასავალი“ (ნაწილი პირველი), 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — „მღერის კლავდია შულჟენკო“, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მეტალურგები“ 19.45 — ვ. დოლიძე. სიმრკესტრო ნაწყვეტები ოპერა „ლეილადან“, 20.15 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 20.30 — „სატირის მახვილით“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — გ. რჩეულიშვილის რადიოინსცენირებული მოთხრობები. 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

„დინამოს“ სტადიონი

აკაკი წერეთლის პროსპ. № 2, ტელ. 5-21-62.

18 ივლისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის.

ალგა (ფრუნზე) — **ლოკომოტივი** (თბილისი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ძალაშია ამონაბეჭდის № 25 ტალონი. ბილეთები გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 18 ივლისს დღის 12 საათიდან.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის, **მთავარი და უფროსი ბუხჰალტრების,** ბუხჰალტრების და მოანგარიშეების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ჯგუფებში, როგორც წარმოებიდან მოუწყვეტლივ, ისე მოწყვეტით.

კომბინატი ამზადებს აგრეთვე აღრიცხვის მექანიზაციის მუშაკთა კადრებს: თბილისში — ოპერატორებს, ინსტრუქტორ-ოპერატორებს, მექანიკოსებს, დამპროგრამებლებს, **ბათუმში** — ოპერატორებს. კომბინატი აწარმოებს სოფლის მეურნეობის განხრით **აღრიცხვის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას დაუწყრებელი სწავლების განყოფილებაზე. სკოლები სამეურნეო ანგარიშზეა.**

სკოლაში შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დადგენილი ფორმის მიხედვით (შეივსება საბუთის ჩაბარებისას), 2. განათლების საბუთის ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 6. ცნობა აღრიცხვის დარგში მუშაობის შესახებ (უნდა წარმოადგინონ აღრიცხვის დარგში მომუშავეებმა), 7. პასპორტი. (წარმოდგენილ უნდა იქნას საბუთები ჩაბარებისას), 8. ერთი ცალი ფოტოსურათი. სასწავლო კომბინატის მისამართია:

თბილისი — ჯაგუპავაძის პრ. № 17, სასწავლო კომბინატის საბუხჰალტრო სკოლებისა: **ბათუმი** — კალინინის შესახვევი ქ. № 3; **სოხუმი** — ლესელიძის ქ. № 57; **მახარაძე** — ნინოშვილის ქ. № 7; **ზუგდიდი** — მახარაძის ქ. № 47; **ქუთაისი** — წულუკიძის ქ. №22; **ზესტაფონი** — ჩაპაევის ქ. № 19; **გორი** — ლენინის ქ. № 96; **ლაგოდეხი** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი; **ფოთი** — რკინიგზის სკოლა; **ცხინვალი** — ლენინის ქ. № 4; **თელავი** — რუსული საშუალო სკოლა; **რუსთავი** — პიონერის ქ. № 38.

თელავის ი. ს. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1964-1965 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

დღის განყოფილებაზე:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის, 2. დაწყებითი განათლების მეთოდიკის, 3. ისტორიის, 4. მათემატიკის.

(ყველა სპეციალობა ქართული სექტორით).

ამორჩეული სპეციალობის მიხედვით შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ დისციპლინებში:

1. **ქართული ენა და ლიტერატურა** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი),* სსრკ ისტორია (ზეპირი),* უცხო ენა (ზეპირი). 2. **დაწყებითი განათლების მეთოდიკა** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი),* სსრკ ისტორია (ზეპირი)*. 3. **მათემატიკა** — მათემატიკა (წერა და ზეპირი),* ფიზიკა (ზეპირი).* ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). 4. **ისტორია** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი),* სსრკ ისტორია (ზეპირი).*

მაპროფილებელი საგნები აღნიშნულია ვარსკვლავით.

განცხადება მიღების შესახებ აჩრეული სპეციალობის აღნიშნვით შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X 4 სმ), გადაღებული უქუდოდ; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; კოლმეურნეობის წევრები წარმოადგენენ ამონაწერს კოლმეურნის წიგნაკიდან იმის ჩვენებით, რომ კოლმეურნეობაში მუშაობის ორი წლის განმავლობაში თვითეულ წელს გამომუშავებული აქვთ ამ კოლმეურნეობისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი.

შემსვლელნი წარმოადგენენ დახასიათებას, რომელსაც მათ აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს — სკოლის პედაგოგიური საბჭოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი დახასიათებას წარადგენენ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან.

სამსახურის უკანასკნელი წლის ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები, ზემდგომები, რომელთაც სურვილი აქვთ უმაღლეს სასწავლებელში შევიდნენ წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებაზე, განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ სათანადო სამხედრო ნაწილის მეთაურის ცნობას მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მოსლეადიანი შეებლების მიცემის შესახებ.

საბუთების შემოტანისას შემმსვლელი პირადად წარმოადგენს: **პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.**

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: ერეკლე II ქუჩა № 1.

სსკ. სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებელი № 11 1964-65 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას შემდეგ პროფესიებზე:

1. **დეკორატორ-შემარულებლები,** 2. **ძვირფასი ავეჯის ოსტატები,** 3. **ქვის მხატვრულად დამუშავება და შემოსვითი სამუშაოები,** 4. **მეფილე-მღებავ-მლესავები,** 5. **მეალფრეინე-მღებავები.**

განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე დილის 9 საათიდან 17 საათამდე.

საჭიროა წარმოდგენილი იქნას შემდეგი საბუთები:

1. **განცხადება,** 2. **დაბადების მოწმობა.** 3. **განათლების მოწმობა,** 4. **სამი ფოტოსურათი ზომით 3X4,** 5. **ავტობიოგრაფია,** 6. **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.** მოსწავლეები მიიღებიან 15-დან 17-წლამდე ასაკისა — ორივე სქესისა, რომელსაც დამთავრებული აქვთ 7-8 კლასი. ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამჯერადი კვებით და ტანსაცმლით. **სასწავლებლის მისამართია** — თბილისი, ჭონქაძის ქ. № 21. ტელეფონი 3-09-07.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა

აცხადებს მიღებას 1964-1965 სასწავლო წლისათვის

სტენოგრაფიის განყოფილება ამზადებს სტენოგრაფებსა და უმაღლესი კვალიფიკაციის სტენოგრაფებს, მანქანაზე წერის განყოფილება კი — მდივან-მემანქანეებს.

სკოლაში არის ორი სექტორი: **ქართული** და **რუსული.**

სკოლაში მიიღებიან მდედრობითი სქესის მოქალაქენი.

სტენოგრაფიის განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი; მანქანაზე წერის განყოფილებაზე — საშუალო და ორასრული საშუალო განათლების მქონენი. სკოლაში შემსვლელი პირები გამოცდებს აბარებენ მშობლიურ ენაში (წერა). სტენოგრაფიის განყოფილებაზე სწავლის ვადა **ორნახევარი წელია,** მანქანაზე წერის განყოფილებაზე კი — **ერთი წელი.**

სკოლა სამეურნეო ანგარიშზეა.

სკოლაში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადება მიიღება 27 აგვისტომდე, ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 27-დან 30 აგვისტომდე.

სკოლის მისამართი: **ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52. ტელ. 5-99-02.**

საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის

სკოლაში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე კომკავშირელები 17 წლიდან 22 წლამდე.

სკოლაში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული წერა (ქართულ სექტორზე), რუსული წერა (რუსულ სექტორზე). 2. გასაუბრება. 3. მუსიკალური მონაცემების შემოწმება.

სკოლაში შემომსვლელს პირადად შემოაქვს განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. პასპორტი, 4. კომკავშირული ბილეთი ხელზე უნდა ჰქონდეს, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ორი ფოტოსურათი, 7. განათლების განყოფილებისა და პიონერთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს რეკომენდაცია.

სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

მეცადინეობა წარმოებს **ქართულ და რუსულ ენებზე.** სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

საბუთები მიიღება 20 იელისიდან 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები — 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 118. ტელეფონი 5-22-71.

დირექცია.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1964 წლის 23 სექტემბერს, დღის 12 საათზე № 107 აუდიტორიაში (ი. ჯავახიშვილის პრ. № 1) **ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შალვა ნიკოლოზის-ძე ბოზალიშვილი დაიცავს დისერტაციას** თემაზე: **„ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის** (მხატვრული ლიტერატურა ქართულ ბოლშევიკურ პრესაში)“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის

ასპირანტურაში მიღება წარმოებისაგან მოწყვეტით იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული ფიზიკა, რადიოფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ფიზიკური ქიმია, ბიოფიზიკა, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, ზოოლოგია, ემბრიოლოგია და პისტოლოგია. მცენარეთა ფიზიოლოგია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, გენეტიკა. ჰიდროგეოლოგია, სკკპ ისტორია, სსრ კავშირის ისტორია, საქართველოს ისტორია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, შრომის ეკონომიკა, აღრიცხვის და გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაცია, მათემატიკური მეთოდები ეკონომიურ გამოკვლევებში, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, მარქსისტულ-ლენინური ეთიკა, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, ახალი ქართული ენა, სამოქალაქო სამართალი, თეატრალური ხელოვნება.

ასპირანტურაში მიღება წარმოებისაგან მოწყვეტლივ იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: მათემატიკური ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული კიბერნეტიკა, თეორიული მექანიკა, ასტრონომია და ცაცური მექანიკა, თეორიული ფიზიკა, რადიოფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, დაბალი ტემპერატურების ფიზიკა, გეოფიზიკა, ატომბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა, არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ფიზიკური ქიმია, ბიოფიზიკა, ბიოქიმია. მიკრობიოლოგია, ემბრიოლოგია და პისტოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია, ციტოლოგია, პეტროგრაფია, სკკპ ისტორია, არქეოლოგია, ზოგადი (ძველი და შუა საუკუნეების) ისტორია, ეთნოგრაფია, პოლიტიკური ეკონომია, მრეწველობის ეკონომიკა, აღრიცხვის და გამოთვლითი სამუშაოთა მექანიზაცია, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ფილოსოფიის ისტორია, ახალი ქართული ლიტერატურა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურა, ახალი ქართული ენა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, კლასიკური ენები, ენათმეცნიერების თეორია, სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, ნიადაგების გეოგრაფია, საკოლმეურნეო და მიწის სამართალი, სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, შრომის სამართალი.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არა უმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო წარმოებისაგან მოწყვეტლივ არა უმეტეს 45 წლის ასაკისა, **რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სამეცნიერო, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.**

უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელთა საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთერთ უცხო ენაში უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

სკკპ ისტორიის სპეციალობით ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებსა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილი უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. **კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი** ფოტოსურათით, 2. **ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი,** 3. **ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან.** 4. **დახასიათება** მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, 5. **მოწმობა** ფორმა 6 იმ პირებისათვის, ვისაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, 6. **გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების** სია, **ცნობები გამოგონებათა, საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომთა შესახებ და დასკვნები მათზე.**

იმ პირებმა, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომები არ აქვთ, სპეციალურ საგანში უნდა წარმოადგინონ **სამეცნიერო მოხსენება** (რეფერატი).

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 ოქტომბრიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ნ